საჯარო სამართლის იურიდიულიპირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობთი საბჭო

ქ. ბათუმი 13 ნოემბერი, 2020 წელი

გადაწყვეტილება № 05-01/04

„ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ ბხსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 23 მაისის № 05-01/01 გადაწყვეტილებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 18-ე მუხლის პირველი პუნქტის, სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის წესდების მე-17 მუხლისა და აკადემიური საბჭოს 2020 წლის 13 ნოემბრის №04-01/16 დადგენილების საფუძველზე

წარმომადგენლობითმა საბჭომ გადაწყვიტა:

1. „ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ ბხსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 23 მაისის № 05-01/01 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, დანართი 1-ში (წესში) შევიდეს შემდეგი სახის ცვლილება და დამატება:

ა) წესის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ე“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს ,,ვ“ და ,,ზ” ქვეპუნქტები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) უცხო ენის (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, იტალიური) არანაკლებ B1დონეზე ცოდნის და ამ ცოდნის დამადასტურებელი შესაბამისი დიპლომის ან სერტიფიკატის ასლი, ან სახელმწიფოს მიერ აღიარებული შესაბამისი პროფილის ორგანიზაციის მიერ გაცემული, ენის ცოდნის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტის ასლის წარმოდგენა;

ზ) ნასამართლობის შესახებ ცნობა (**შენიშვნა**: ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არ შეიძლება დასაქმდეს „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლევი პირი ან/და პირი, რომელსაც იმავე კანონის საფუძველზე სასამართლომ ჩამოართვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება) - გაცემული საკონკურსო განცხადების წარმოდგენამდე 15 დღის ვადაში.“

2. გადაწყვეტილება განთავსდეს ბხსუ-ს ვებგვერდზე.

3. გადაწყვეტილება დაეგზავნოს რექტორს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ბხსუ-ს ფაკულტეტებს (დეკანებს, დარგობრივი დეპარტამენტების ხელმძღვანელებს), ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახურს.

4. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

წარმომადგენლობითი საბჭოს
სპიკერი **თ. მეიშვილი**